



ევროკავშირი
საქართველოსთვის



საქველმოქმედო
კურორტი
საქართველო
საქართველო
საქართველო



სონის მუნიციპალიტეტის
საინვესტიციო პეტიკა

კერძო სექტორს და
ინვესტორებს ეარის
ელექტროსადგურის
მოსაწყობად



ავტორი: კახა დაუშვილი

ასისტენტი: ალექსანდრე მილორავა

რეცენზენტი: ბექა ცეცაძე

დიზაინერი: ნატო ყუბანიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გამოყენება, გადაბეჭდვა, გამრავლება ან/და გავრცელება კომერციული ან სხვა მიზნით, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

This publication was created with the financial support of the European Union under the project "Integrated Territorial Development of Khoni Municipality of Imereti Region" by the expert. Its contents are the sole responsibility of the expert and project implementers - Khoni Municipality City Hall and Charity Humanitarian Centre "Abkhazeti" and do not necessarily reflect the views of the European Union.

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის "იმერეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება". მასში არსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ექსპერტი და პროექტის განმახორციელებლები – ხონის მუნიციპალიტეტის მერია და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი" და შესაძლოა ის არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



სონის მუნიციპალიტეტის
საინვესტიციო შეთავაზება

კერძო სექტორს და
ინვესტორებს ქარის
ელექტროსადგურის
მოსაწყობად

სარჩევი

| | |
|--|----|
| დოკუმენტის მიზანი | 5 |
| ხონის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა | 6 |
| ზოგადი მიმოხილვა | 7 |
| საქართველო | 8 |
| პოლიტიკური სისტემის მიმოხილვა | 8 |
| ზოგადი ინფორმაცია საქართველოს შესახებ | 9 |
| საქართველოს ეკონომიკური შედეგები | 11 |
| კანონმდებლობა და ბიზნესის კეთების სიმარტივე | 13 |
| საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა | 13 |
| საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო | 17 |
| საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ | 17 |
| საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ | 18 |
| საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ | 19 |
| საქართველოს მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა | 20 |
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ“ | 20 |
| დასკვნა | 22 |
| პროექტის მიზნობრიობის დასაბუთება | 23 |
| ადგილმდებარეობის ანალიზი | 26 |
| ობიექტის მიკრო და მაკრო ლოკაციის ანალიზი | 26 |
| ხონის მუნიციპალიტეტი | 27 |
| წვდომა საინვესტიციო სივრცესთან | 29 |
| ბაზრის კვლევა | 31 |
| ელექტროენერჯის როლი საქართველოსთვის | 33 |
| საქართველოს ენერგოსისტემის ექსკურსი | 33 |
| ელექტროენერჯის როლი მშპ-ს ბრდასა და ეკონომიკურ განვითარებაში | 34 |
| ენერგეტიკული უსაფრთხოების როლი | 35 |
| ელექტროენერჯის გამომუშავების ამჟამინდელი წყაროები საქართველოში და ძირითადი გამოწვევები | 35 |
| ელექტროენერჯის გამომუშავების მიმდინარე და მომავალი დეფიციტის დაძლევა | 36 |
| სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა | 36 |
| ბაზარზე არსებული დინამიკა | 37 |
| ქარის ელექტროსადგურის მოწყობაში ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობა | 39 |
| დაფინანსების წყაროები | 42 |
| პროექტის განსახორციელებლად საჭირო სერვისის პროვაიდერები | 43 |
| საინვესტიციო პროექტის აღწერა | 44 |
| საინვესტიციო პროექტის შინაარსობრივი აღწერა | 44 |
| საინვესტიციო პროექტის უპირატესობები | 45 |
| საინვესტიციო პროექტის ინტეგრაცია ღირებულებათა ჯაჭვში | 45 |
| პროექტის ბიუჯეტი | 46 |

დოკუმენტის მიზანი

საინვესტიციო შეთავაზებით განზრახულია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა ხონის მუნიციპალიტეტში ქარის ელექტროსადგურის მოწყობის მიზნით.

ხონის მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულია, რომელიც აქტიურად მუშაობს მისი ეკონომიკის გასაძლიერებლად, ადგილზე დასაქმების ღირსეული წყაროების შესაქმნელად და რეგიონსა და ქვეყანაში საკუთარი ეკონომიკური როლის დასამკვიდრებლად. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარდა კვლევების სერია, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონში განვითარებადი ეკონომიკური სექტორების გამოვლენას და მათი განვითარების პოტენციალის შეფასებას. 2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში არის 20 მეგავატიანი ქარის ელექტრო სადგურის მშენებლობისთვის შესაფერისი ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ხელი შეუწყოს აღნიშნული პროექტის განხორციელებას.

ხონის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ჩემთვის, როგორც ხონის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მნიშვნელოვანია ხონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება და დასაქმების ახალი წყაროების შექმნის ხელშეწყობა. ჩემი ღრმა რწმენით, მწვანე ტრანსფორმაცია და ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება წარმოადგენს როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ქვეყნის პროგრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. ხონის მუნიციპალიტეტი მდიდარია ავთენტური და ხელშეუხებელი კულტურული და ტურისტული ღირებულების მქონე ადგილებით, ხელთუქმნელი ბუნებით და კანიონებით. შესაბამისად, ჩვენთვის პრიორიტეტულია ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას იმგვარად, რომ საფრთხე არ შევუქმნათ, ან არ დავაზიანოთ ზემოხსენებული ღირსშესანიშნაობები. ვფიქრობთ, ქარის ელექტროსადგურის მოწყობა/მშენებლობა მუნიციპალიტეტის მწვანე ტრანსფორმაციის ერთგვარი საფუძველია, რომელსაც, როგორც განვითარების ახალ, მდგრად წყაროს, პოზიტიური ზეგავლენა ექნება ადგილობრივი ეკონომიკის ერთიან სურათზე.

განახლებადი მწვანე წყაროებიდან ენერჯის მოპოვების მიმართულება და, ზოგადად, მუნიციპალიტეტის მწვანე ტრანსფორმაცია არამარტო ჩემი, არამედ მთელი მუნიციპალიტეტის სურვილია და იგი თანაბრად მხარდაჭერილია როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისგან, ისე მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის მხრიდან. მე, როგორც მუნიციპალიტეტის მერს და მერიის გუნდს გვაქვს მაღალი მოტივაცია მხარი დავუჭიროთ აღნიშნული პროექტის განხორციელებას სრულად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში.



ზოგადი
მიმოხილვა

პოლიტიკური სისტემის მიმოხილვა

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. 1991 წლიდან, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში შეიქმნა ძლიერი დემოკრატიული სისტემა. საქართველო არის უნიტარული საპარლამენტო რესპუბლიკა, რომელიც ძალისხმევას მიმართავს გამჭვირვალე, სტაბილური და ინვესტორებისადმი კეთილგანწყობილი ქვეყნის ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოს პირველი პირია პრეზიდენტი. 2012 წლის შემდგომ პრეზიდენტის როლი მეტწილად შეზღუდულია და ძირითადად საგარეო ურთიერთობებში ქვეყნის წარმომადგენლობით და სახელმწიფოში დემოკრატიის დაცვით შემოიფარგლება. საქართველოს მთავრობის აღმასრულებელ ფუნქციებს ასრულებს პრემიერ-მინისტრი, რომელიც არის მთავრობის მეთაური და აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ეკონომიკურ რეფორმებსა და საკანონმდებლო ჩარჩოზე. პრემიერ-მინისტრს ევალება მინისტრთა კაბინეტის შექმნა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პარლამენტს ქვეყნის მართვასა და მთავრობის ზედამხედველობაში საკვანძო როლი ეკისრება. საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანი ორგანოა. მისი წევრები ოთხი წლის ვადით აირჩევიან. პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ორგანო, პასუხისმგებელია კანონების მიღებაზე, ბიუჯეტის დამტკიცებასა და აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობაზე. შესაბამისად, იგი ცენტრალურ როლს ასრულებს როგორც პოლიტიკის შემუშავებაში, ისე უშუალოდ პოლიტიკურ პროცესებში. საქართველოში მოქმედებს პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვან პოლიტიკურ ლანდშაფტს და ხელს უწყობს მრავალპარტიულ დიალოგს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს სახელმწიფო ახორციელებდა და ამჟამადაც ახორციელებს საარჩევნო რეფორმებს. ამასთან, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით ნერგავს ინოვაციებს, რითაც ადასტურებს დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებას. დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებით განპირობებული პოლიტიკური სტაბილურობა კი ნებისმიერი საინვესტიციო პროექტის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

საქართველოს სახელმწიფოს ორი განუყოფელი ნაწილი – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი გამოწვევისა, საქართველო ინარჩუნებს მდგრადობას და სუვერენიტეტს, ამასთან, აგრძელებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისა და გაუმჯობესების მიზნით, რაც ხაზს უსვამს ქვეყნის სტაბილურ პო-

ლიტიკურ ფუნდამენტს და ადასტურებს საერთაშორისო ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების სიმცირეს, რაც თვალსაჩინოა ქვეყანაში განხორციელებული მრავალმილიონიანი საინვესტიციო პროექტებით თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობით.

საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, საქართველო აქტიურად აგრძელებს ინტეგრაციას დასავლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებთან და მიისწრაფვის ევროკავშირსა და ნატოში განევრიანებისკენ. სახელმწიფოს მიერ არჩეული სტრატეგიული ორიენტაცია ხელს უწყობს დემოკრატიული ნორმების გაძლიერებას და ბაზრის ლიბერალიზაციას. დასავლურ სისტემებთან თანხვედრა ინვესტორებისთვის დამატებითი გარანტიაა სტაბილური და ეფექტური მმართველობის ჩამოსაყალიბებლად საქართველოს მიერ აღებული გრძელვადიანი ვალდებულების მიმართულებით. პარალელურად, საქართველოს სახელმწიფო ინარჩუნებს დაბალანსებულ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან, აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ თანამშრომლობასა და რეგიონულ სტაბილურობაზე.

ქართული სამართლებრივი სისტემა, როგორც კანონის უზენაესობის დამცველი და ადამიანის უფლებების გარანტორი, ქვეყნის დემოკრატიული და მმართველობით სტრუქტურების მხარდამჭერია. სასამართლო ფუნქციონირებს დამოუკიდებლად. მას ევალება სამართლიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულებების აღსრულება და კონფლიქტების მოგვარება. ასეთი გარემო ბიზნესისთვის სამართლებრივი დაცვისა და კონტრაქტის აღსრულების უსაფრთხოების გარანტიაა.

ზოგადად, საქართველოს პოლიტიკურ სისტემას ახასიათებს პროგრესული დემოკრატიზაცია, სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური ინიციატივები და გამჭვირვალობის ერთგულება. ეს მახასიათებლები ზრდის ქვეყნის სანდოობას და მას საერთაშორისო ინვესტიციებისთვის მიმზიდველ ადგილად წარმოაჩენს. პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ მიმართული მიმდინარე რეფორმების მეშვეობით საქართველო კარგად არის პოზიციონირებული და ახერხებს რეგიონში ინვესტირებით დაინტერესებულ სტაბილური ზონების მაძიებელ ინვესტორებს შესთავაზოს უსაფრთხო პლატფორმა ზრდისა და განვითარებისთვის, რაც ინვესტირების არსებითი კრიტერიუმია.

ზოგადი ინფორმაცია საქართველოს შესახებ

ფართობი – საქართველოს ტერიტორია 69,700 კვადრატული კილომეტრია. ქვეყანაში წარმოდგენილია გეოგრაფიული მახასიათებლების უნიკალური ნაზავი – სუბტროპიკული სანაპირო ზოლიდან ალპურ ზონებამდე. ბუნების მრავალფეროვნება განაპირობებს ეკონომიკური შესაძლებლობების ფართო სპექტრს, განსაკუთრებით ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და განახლებადი ენერჯის სექტორებში. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის ქვეყანას ვაჭრობისა და ტრანსპორტისთვის

უმნიშვნელოვანეს გზად და ტრანსკონტინენტური ლოგისტიკისა და კომერციისთვის ბუნებრივ კარიბჭედ გარდაქმნის. მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული – მათ შორის გზები, პორტები და საჰაერო ტრანსპორტის განვითარება ქვეყანას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის საერთაშორისო ინვესტიციების განსახორციელებლად.

მოსახლეობა – 2023 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 3,7 მილიონია. საქართველო ხასიათდება მდიდარი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებით. ძირითადი ურბანული ცენტრებია დედაქალაქი – თბილისი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს. სიდიდით და მოსახლეობით მეორე ქალაქია ქუთაისი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ლოგისტიკური და ეკონომიკური ცენტრის ფუნქციას ითავსებს. ქვეყნის მნიშვნელოვანი ქალაქებია ბათუმი და ფოთი, სადაც განთავსებულია საზღვაო პორტები და აეროპორტი. ამასთან, ქალაქი ბათუმი წარმოადგენს ურბანული ინფრასტრუქტურისა და საფინანსო სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს.

განათლების დონე – საქართველოს მოსახლეობის 99% ფლობს საშუალო განათლების სერტიფიკატს, რაც მიუთითებს მოსახლეობის საბაზო განათლებისა და წიგნიერების მაღალ დონეზე. ამასთან, მთავრობამ პროგრესული ნაბიჯები გადადგა უმაღლესი განათლების რეფორმირების მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს კურიკულუმების შესაბამისობას საერთაშორისო კრიტერიუმებთან, განსაკუთრებით, STEM პროფესიების ნაწილში და პროფესიული მომზადება/გადამზადების მიმართულებით. საქართველოში დამკვიდრებულია მაღალი საუნივერსიტეტო კულტურა. შესაბამისად, ქართული უნივერსიტეტები ამზადებენ მაღალი დონის სპეციალისტებს როგორც საფინანსო, ისე ტექნიკური მიმართულებით. აღნიშნული ფაქტორი დადებითად აისახება ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და ხარისხზე. ამასთან, კონკრეტული ტექნიკური მიმართულებების, მათ შორის მზისა და ქარის ენერჯიების ასათვისებლად საჭირო პროფესიების შესასწავლად პერსონალის სწრაფი მომზადება/გადამზადების შესაძლებლობას იძლევა.

ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI) – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილ ადამიანური განვითარების ინდექსის რეიტინგში საქართველო 193 ქვეყანას შორის მე-60 ადგილს და რეგიონში ლიდერის პოზიციას იკავებს. საქართველოს HDI (**ადამიანური განვითარების ინდექსი**) ასახავს საშუალო და მაღალ ადამიანურ განვითარებას, ჯანდაცვის, განათლებისა და შემოსავლების მნიშვნელოვან პროგრესს. სიცოცხლის ხანგრძლივობა და საგანმანათლებლო მიღწევები წარმოადგენს ცენტრალურ საკითხებს, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის წინსვლას აღნიშნულ რეიტინგში. სახელმწიფოს ძალისხმევა ცხოვრების დონისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიმართულებით პოზიტიურად აისახება მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობის პოტენციალზე, რაც აუმჯობესებს ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველოს ეკონომიკური შედეგები

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) – 2024 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით, საქართველოს მშპ დაახლოებით 30 მილიარდი დოლარია, რაც დაბალანსებული და პროგრესული ეკონომიკური განვითარების დინამიკის გამომხატველია. აგრარული ეკონომიკიდან თანამედროვე ეკონომიკურ რელსებზე გადასვლა, სადაც სერვისები და სამრეწველო პროდუქცია დომინირებს, გულისხმობს ეკონომიკის მოდერნიზაციისადმი ტრანსფორმაციულ მიდგომას, რაც მხარდაჭერილია ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში სტრატეგიული ინვესტიციებით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა შეადგენს არანაკლებ 5%-ს წლიურად, ხოლო კოვიდ პანდემიის შემდგომ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა საშუალოდ 9,7%-ა. ამასთან, მიმდინარე პროგნოზით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკის რეალური ზრდა 7%-ზე მეტი იქნება.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური – ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2023 წლის მონაცემებით შეადგენს დაახლოებით 8218 აშშ დოლარს, რაც აჩვენებს შემოსავლის ზრდისა და ეკონომიკური ექსპანსიის შესაძლებლობებს მაღალი ღირებულების სექტორებში მიზნობრივი ინვესტიციების მეშვეობით.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე რეალური – რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე, შესწორებული მსყიდველუნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით, დაახლოებით 21,000 აშშ დოლარია. აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს ქვეყნის შედარებითი ხარჯების კონკურენტუნარიანობას და აჩვენებს რეალური ფულადი რესურსის უნარს პროდუქციის შესყიდვასთან მიმართებით.

მშპ-ს ზრდის ტემპი 2018-2023 წლებში – საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 2018-2023 წლებში საშუალოდ არანაკლებ 5%-ს შეადგენდა, რაც გამომწვეულია ეკონომიკური რეფორმებით და ინვესტიციების სტიმულირებით. მთავრობის სტრატეგიული ფოკუსირება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მათ შორის სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებზე, გადამწყვეტ როლს თამაშობს ზრდის შენარჩუნებაში. თანმიმდევრული ზრდის ტემპი ქმნის მყარ საინვესტიციო კლიმატს, სადაც ეკონომიკური პოლიტიკა აქტიურად უჭერს მხარს ბიზნესის გაფართოებას და ინოვაციებს, ამასთან, ასტიმულირებს მოთხოვნას სხვადასხვა სექტორში.

ბიზნესის კეთების რეიტინგი – მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში საქართველო გამორჩეულად კარგად პოზიციონირებს და მუდმივად მაღალი ადგილი უჭირავს ქვეყნის გამარტივებული მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ხელმისაწვდომი ბიზნეს ინფრასტრუქტურის გამო. ბიზნესის კეთების რეიტინგში მიღწეული წარმატება ბიზნესის რეგისტრაციის, საგადასახადო კანონმდებლობის, ინოვაციებისა და

მენარმეობისთვის ხელსაყრელი/მოქნილი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისკენ მიმართული ყოვლისმომცველი რეფორმების შედეგია.

კორუფციის დონე – კორუფციის შემცირებისთვის განუღმამა მნიშვნელოვანმა ძალისხმევამ გაამყარა საქართველოს, როგორც გამჭვირვალე და ეფექტური ბიზნეს გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაცია. ინსტიტუციური რეფორმები მიმართული იყო და კვლავ მიმართულია მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდასა და ეთიკური პრაქტიკის ხელშეწყობაზე როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. კორუფციის დონის სიმცირე ნიშნავს დაბალ საოპერაციო რისკს და გაზრდილ საიმედოობას, რაც უზრუნველყოფს ბაზარზე სამართლიან და კონკურენტუნარიან თამაშის წესებს.

სუვერენული რეიტინგი Fitch-ის, Standard & Poor's-ის და სხვათა მიერ – მაღალი რეპუტაციის მქონე სააგენტოების Fitch და Standard & Poor's მიერ განსაზღვრული საქართველოს სტაბილური სუვერენული საკრედიტო რეიტინგი გამოხატავს ნდობას ქვეყნის ფისკალური მენეჯმენტისა და ეკონომიკური სტაბილურობისადმი. აღნიშნული რეიტინგები გვევლინება სახელმწიფოს კრედიტუნარიანობისა და საერთაშორისო სავალო ვალდებულებების შესრულების უნარის ძირითად ინდიკატორად, რაც ინვესტორებს ფისკალურ დისციპლინასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაში არწმუნებს. რეიტინგების პროგნოზირებადობა ამცირებს საინვესტიციო რისკს და ზრდის საქართველოს, როგორც უსაფრთხო საინვესტიციო მდებარეობის მიმზიდველობას.

ინფლაცია – საქართველოში ინფლაციას მართავს ეროვნული ბანკი, რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდის დაბალანსება ფასების სტაბილურობასთან. ზომიერი ინფლაციის მაჩვენებლების შენარჩუნებით საქართველო უზრუნველყოფს მომხმარებელთა ნდობას და ინარჩუნებს ფულის ღირებულებას, რაც განაპირობებს მდგრადი ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებას. ინფლაციის ტარგეტირების პოლიტიკა მხარს უჭერს ხარჯების სტაბილურობას და საოპერაციო პროცესში ფასების მდგრადობაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვანია კერძო სექტორის მხრიდან საინვესტიციო ხარჯების სტრატეგიული დაგეგმვისთვის.

საპროცენტო განაკვეთი – საქართველოს მონეტარული პოლიტიკა ორიენტირებულია ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებაზე, ფისკალური ბალანსის შენარჩუნებასა და ბიზნესისთვის კაპიტალზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. ცენტრალური ბანკის მიზანია დაკრედიტების ხელსაყრელი პირობების შენარჩუნება. უკანასკნელი წლების მანძილზე სტაბილურად მიმდინარეობს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება, რაც ბოლო მონაცემებით 8%-ს შეადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული სტრუქტურული საფუძველზე არსებობს მოლოდინი, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უახლოესი 1 წლის მანძილზე კიდევ შემცირდება.

უმუშევრობა – უმუშევრობა არის გამოწვევა, რომელსაც საქართველო ებრძვის ბაზრის საჭიროებით ნაკარნახევი კადრების მომზადება/გადამზადების, პროფესიული სწავლებისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამების მეშვეობით. ამ მიმართულებით განეული ძალისხმევა თანდათან აუმჯობესებს დასაქმების მაჩვენებლებს. ამასთან, საქართველოში კვალიფიციური მუშახელის საშუალო შრომის ანაზღაურება შეადგენს არაუმეტეს 2000 ლარს, რაც, როგორც რეგიონში, ისე ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე იაფი მუშახელის არსებობის გარანტიაა. 2027 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 13,8%-ს შეადგენს, რაც ქვეყნისთვის ისტორიულ მინიმუმს წარმოადგენს.

კანონმდებლობა და ბიზნესის კეთების სიმარტივე

საგადასახადო კოდექსი – საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სიმარტივით და ეფექტურობით. ქვეყანაში მოქმედებს გადასახადის ექვსი სახე. მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს. ესტონური საგადასახადო მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადი იბეგრება მხოლოდ განაწილებულ მოგებაზე, რაც ხელს უწყობს რეინვესტირებას და ბიზნესის გაფართოებას. საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 20%-ს, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი – 18%-ს. ქვეყანაში მოქმედებს ხაზოვანი სისტემა, რომლის შესაბამისადაც საგადასახადო განაკვეთი არ იზრდება მოგების ან/და ბრუნვის პროპორციულად.

ბიზნესის დაფუძნების ნაბიჯები – საქართველოში ბიზნესის წამოწყება შესამჩნევად გამარტივებულია და უმთავრესად მოიცავს მხოლოდ რამდენიმე მარტივ ნაბიჯს, რომელთა გადადგმაც შესაძლებელია ეფექტური ონლაინ სისტემებისა და ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე იუსტიციის სახლების მეშვეობით. ეს ნაბიჯები გულისხმობს ბიზნეს სუბიექტის რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საჭირო ფისკალური ანგარიშების შექმნას და საოპერაციო ლიცენზიების მოპოვებას. ეფექტურობის მაღალი დონე უზრუნველყოფს ბიზნესის დაწყების სიმარტივეს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებულ დროს და ხარჯებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) – 2000 წლიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, საქართველომ მოახდინა სავაჭრო პოლიტიკის სინქრონიზაცია გლობალურ სტანდარტებთან, რითაც გაძლიერდა ქვეყნის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა უზრუნველყოფს საქართველოს გამჭვირვალე სავაჭრო პრაქტიკის დაცვას, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინვესტიციების მოსაზიდად და დასაცავად. საქართველოს კანონმდებლობის თანხვედრა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პროტოკოლებთან უზრუნველყოფს პროგნოზირებად და სამართლიან სავაჭრო გარემოს და ძირითად უპირატესობებს

ექსპორტზე ორიენტირებულ ბიზნესში ან საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ინვესტორებისთვის.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა (DCFTA) – საქართველოს მხრიდან ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. შეთანხმება უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების წვდომას ევროპულ ბაზრებზე. ის მოიცავს მარეგულირებელი ბაზის ჰარმონიზაციას, საბაჟო და სავაჭრო ტარიფების აღმოფხვრას და ვაჭრობის ხელშეწყობას. ამასთან, ბიზნესს, რომელიც ეძებს მომგებიან საინვესტიციო სივრცეს, სთავაზობს მყარ ჩარჩოს ევროკავშირის ბაზრებზე სრული წვდომით და დაბალი საოპერაციო თუ კაპიტალური დანახარჯებით.

ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან – ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ხელს უწყობს ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს და წარმოადგენს მიმდინარე რეფორმების გატარების ვალდებულებას ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობის მისაღწევად. ასოცირების შეთანხმება საქართველოს განაცხადია ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობის გზაზე, რაც გულისხმობს სამეწარმეო სექტორში ევროკავშირში მოქმედი თამაშის წესების დანერგვას. ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობით საქართველო ინვესტორებს სთავაზობს ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ, გრძელვადიან ზრდასა და პარტნიორობაზე ორიენტირებულ გარემოს.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი – მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ არ არის ევროკავშირის შემადგენლობაში, ქვეყანა აქტიურად მუშაობს ევროგაერთიანებაში გაწევრიანებისთვის, რაც ორმხრივად დასტურდება 2023 წლის დეკემბერში საქართველოსთვის ევროკავშირის მხრიდან კანდიდატის სტატუსის მინიჭებით. ევროკავშირში ინტეგრაციის ინვესტორებს სთავაზობს სამომავლო სარგებელს, როგორცაა ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება და ეკონომიკური თანამშრომლობა, ასევე უცხოური ინვესტიციების პერსპექტივების გაძლიერება.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთთან – 2018 წელს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხაზს უსვამს საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას და ქვეყანას წარმოაჩენს სავაჭრო ხიდად კონტინენტებს შორის, რომელიც ევროპას/დასავლეთს სთავაზობს მნიშვნელოვან სავაჭრო შესაძლებლობას აზიის უდიდეს ეკონომიკასთან.

ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაცია – ვიზალიბერალიზაცია ამარტივებს მოგზაურობას და ამაღლებს საქართველოს, როგორც ევროკავშირის ფარგლებში ბიზნეს საქმიანობისთვის ოპერატიული ბაზის, მიმზიდველობას. უვიზო მიმოსვლა ხელს უწყობს

მოხილობას, რაც გადამწყვეტია ევროპის მასშტაბით პარტნიორობის ჩამოყალიბებისა და ოპერაციული გაფართოებისთვის. ვიზალიბერალიზაცია ინვესტორებისთვის აძლიერებს ოპერაციულ სისწრაფეს, ამცირებს ბარიერებს საზღვრისპირა გადაადგილებისთვის და ხელს უწყობს რეგიონულ ჩართულობას.

საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო ორგანიზაციებში არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკური ნორმებისადმი ლოიალობის ამსახველია, არამედ ქვეყნის ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ ადგილად სტრატეგიულ პოზიციონირებასაც აღნიშნავს. ეს კავშირები ინვესტორებს სთავაზობს შესაძლებლობას წამოიწყონ და განავითარონ ბიზნესი ქვეყანაში, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდგომ გახდება ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი და, ამასთანავე, აქვს დაბალი საგადასახადო ტვირთი და სამუშაო ძალაზე დაბალი დანახარჯები.

ცხრილი 1 - საქართველოს ძირითადი მაჩვენებლები და ინდექსები

| ძირითადი ინფორმაცია | | |
|---|------|-------------|
| მთლიანი შიდა პროდუქტი მშპ | 2023 | \$30,536M |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე | 2024 | \$8,218 |
| მთავრობის ვალი (მილიონი) | 2023 | 11,980 |
| მთავრობის ვალი მშპ-სთან მიმართებით (%) | 2023 | 39.23% |
| მთავრობის ვალი ერთ სულ მოსახლეზე | 2023 | \$3,207 |
| ბიუჯეტის დეფიციტი (მილიონი) | 2023 | -717 |
| ბიუჯეტის დეფიციტი (%) | 2023 | -2.35% |
| მთავრობის დანახარჯები (მილიონი) | 2023 | \$ 9,135.80 |
| მთავრობის დანახარჯები განათლებაზე (მილიონი) | 2023 | \$ 1,141.60 |
| მთავრობის დანახარჯები განათლებაზე (% ბიუჯეტის) | 2022 | 12.17% |
| მთავრობის დანახარჯები ჯანდაცვაზე (მილიონი) | 2022 | 765 |
| მთავრობის დანახარჯები ჯანდაცვაზე (% ბიუჯეტის) | 2022 | 10.54% |
| მთავრობის დანახარჯები თავდაცვაზე (მილიონი) | 2022 | 352.1 |
| მთავრობის დანახარჯები თავდაცვაზე (% ბიუჯეტის) | 2022 | 5.26% |
| მთავრობის დანახარჯები მშპ-სთან მიმართებით (%) | 2023 | 29.92% |
| მთავრობის დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე | 2023 | \$2,445 |
| მთავრობის დანახარჯები განათლებაზე (ერთ სულ მოსახლეზე) | 2022 | \$258 |
| მთავრობის დანახარჯები ჯანდაცვაზე (ერთ სულ მოსახლეზე) | 2022 | \$204 |
| მთავრობის დანახარჯები თავდაცვაზე (ერთ სულ მოსახლეზე) | 2022 | \$97 |
| უმუშევრობის დონე (%) | 2024 | 13.70% |
| უმუშევართა რაოდენობა | 2024 | 219.7 |
| საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი | 2024 | \$732.00 |

| საერთაშორისო რეიტინგები | | |
|---|------------|-------------|
| Moody-ის რეიტინგი | 2024 | Ba2 |
| S&P Rating – (S&P-ის რეიტინგი) | 2024 | BB/B |
| Fitch Rating – (Fitch-ის რეიტინგი) | 2024 | BB |
| კორუფციის აღქმის ინდექსი | 2022 | 53° |
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი | 2019 | 57° |
| Doing Business-ის რეიტინგი | 2024 | 7° |
| მოსახლეობის რაოდენობა | 2023 | 3,736,000 |
| ადამიანური განვითარების ინდექსი | 2024 | 0.814 |
| გენდერული განსხვავების ინდექსი | 2023 | 76° |
| სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა | 2024 | 73.7 |
| გაცვლითი კურსი და რაფინანსირების განაკვეთი | | |
| ევრო – ლარი (გაცვლითი კურსი) | 11/12/2024 | 2.9138 |
| დოლარი – ლარი (გაცვლითი კურსი) | 11/12/2024 | 2.7288 |
| მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | 2024 | 8.00% |
| გადასახადები | | |
| საგადასახადო შემოსავლები (მშპ-ს %) | 2024 | 22.60% |
| დამატებული ღირებულების გადასახადის მოცულობა | 2024 | 18.00% |
| საშემოსავლო გადასახადი | 2024 | 20.00% |
| მოგების გადასახადი | 2024 | 15.00% |
| რეინვესტირებული მოგების გადასახადი | 2024 | 0.00% |
| სამართავი ვაჭრობა და იმპორტი | | |
| ექსპორტის მოცულობა (მილიონი დოლარი) | 2023 | \$6,155.6M |
| ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში | 2023 | 20.15% |
| იმპორტის მოცულობა (მილიონი დოლარი) | 2023 | \$11,990.0M |
| იმპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში | 2023 | 39.22% |
| საგადასახდელო ბალანსი | 2023 | \$-5,835.4M |
| საგადასახდელო ბალანსი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით | 2023 | -19.12% |
| ელექტროენერჯია | | |
| ელექტროენერჯიის მოხმარება GWH | 2022 | 13,902 |
| ელექტროენერჯიის გენერაცია GWH | 2022 | 14,246 |

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა აწესრიგებს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას და სექტორულად მათ სათანადო განხორციელებას. გამომდინარე იქიდან, რომ ენერგეტიკული სექტორი შედარებით რთული დარგია და ხასიათდება მრავალმხრივი ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობით, საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა კანონები და სტრატეგიები, რომელიც აწესრიგებს და მხარს უჭერს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვას და განხორციელებას, აგრეთვე სამართლიანი თამაშის წესების დამკვიდრებას.

საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ

კანონის მიზანი:

- სამართლებრივი საფუძვლის შექმნა მომხმარებლისთვის დადგენილი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად, ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად;
- ელექტროენერგეტიკული სისტემების უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ოპერირება;
- რეგულირებული საწარმოების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა ამ კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლება-მოვალეობების დადგენა, აგრეთვე რეგულირებული საწარმოების ერთმანეთთან, კომისიასთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ორმხრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა;
- პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებზე დაყრდნობით ელექტროენერგეტიკის ბაზრების სრულად გახსნას ელექტროენერჯით თავისუფლად ვაჭრობის მიზნით;
- ერთიანი წესების დადგენა საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირებისთვის, მათი შემდგომი განვითარების ჩათვლით, მომავალში ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებთან ურთიერთდაკავშირების შემთხვევაში, ევროპის მასშტაბით ინტეგრაციის გათვალისწინებით;
- ელექტროენერგეტიკის სექტორში საჯარო მომსახურების ვალდებულებების განხორციელების პირობების განსაზღვრა და საბოლოო მომხმარებლების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;
- გადამცემი სისტემის ოპერატორებისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების განცალკევების რეგულირება და მონიტორინგი, მათი სხვა ენერგეტიკული საქმიანობისგან და მათთან დაკავშირებული კომერციული ინტერესებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- ელექტროენერგეტიკულ სისტემაში, მათ შორის, მეზობელ სისტემებთან ურთიერთდამაკავშირებლებში, მიწოდების უსაფრთხოების გაზრდის საშუალებებში ინვესტიციების განსახორციელებლად სათანადო პირობების შექმნა;

- სამართლებრივი საფუძვლის შექმნა სისტემისა და ბაზრის ოპერატორების, კომისიისა და სხვა სახელმწიფო უწყებების რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობისა და კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის ორმხრივი თანამშრომლობისთვის.

აღნიშნული კანონი წარმოადგენს ერთგვარ ქოლგა დოკუმენტს, რომელიც სრულფასოვნად აწესრიგებს საქართველოში ელექტროენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების, ოპერირებისა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს. ამავე კანონის შესაბამისად, საქართველოში შექმნილია ღია და გამჭვირვალე გარემო ელექტროენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოსაზიდად და განსახორციელებლად. გარდა ზემოხსენებული კანონისა, საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულია სტრატეგიებისა და კანონების ერთობლიობა, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყობს ინვესტიციებს, მეორე მხრივ კი ენერგეტიკული მიმართულებით მოქმედ ინვესტორებს სთავაზობს საჯარო კერძო თანამშრომლობის ჩარჩოს.

საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ აწესრიგებს საქართველოში მოქმედი ინვესტორებისა და საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმატს პროექტების ერთობლივი ჩართულობით ინიცირებისა და განხორციელებისას, რაც აუზობესებს ეფექტიანობას და ზრდის საინვესტიციო სანდოობას კერძო სექტორისთვის. ამასთან, კანონით განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმები, რაც გულისხმობს პროექტების პირდაპირ/მატერიალურ მხარდაჭერას.

კანონის მიზანი:

- პროექტების ეფექტიანობის ზრდა;
- საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება ახალი საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნით ან/და საჯარო მომსახურების მიწოდებით ან/და არსებულის გაუმჯობესებით;
- კერძო დაფინანსების მოზიდვა;
- საჯარო დაფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდა;
- საჯარო და კერძო სექტორებს შორის რისკების განაწილება;
- კერძო პარტნიორის ნოუ-ჰაუს გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ცალსახად არ განმარტავს პრიორიტეტული პროექტების ნუსხას თუ სექტორს, პრაქტიკა ადასტურებს, რომ საქართველოში შექმნილი საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო პრიორიტეტულ მიმართულებად მოიაზრებს ენერგეტიკულ სექტორს, სადაც ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომია თანამშრომლობის

მრავალმხრივი შეთავაზებები. მიმდინარე ეტაპზე სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულია პოტენციური PPP პროექტების ნუსხა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ელექტროენერჯის გამომუშავების სექტორს ეხება. ამასთან, პროექტების მოცულობითი ნაწილი ითვალისწინებს მზის და ქარის ენერჯების გამოყენებას.

საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ

განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოება საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც გამყარებულია 2019 წელს მიღებული კანონით განახლებადი ენერჯებიდან ენერჯის წარმოების შესახებ. აღნიშნული კანონის მიზნებია:

- შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები;
- დაადგინოს ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებასა და ენერჯის ტრანსპორტის მიერ მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საერთო წილის სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები.
- კანონი ადგენს მხარდაჭერის სქემებთან, საქართველოსა და ენერჯეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებს შორის სტატისტიკურ ტრანსფერებთან, საქართველოსა და ენერჯეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარეების ერთობლივ პროექტებთან, საქართველოსა და მესამე ქვეყნების ერთობლივ პროექტებთან, წარმოშობის სერტიფიკატებთან, ადმინისტრაციულ პროცედურებთან, საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ტრენინგებთან, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯისა და ბიოგაზის ელექტროენერჯეტიკულ ქსელსა და ბუნებრივი გაზის ქსელთან დაშვებასთან დაკავშირებულ ნორმებს, აგრეთვე ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმებს.

აღნიშნული კანონის საფუძველზე საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია და საქართველოს მთავრობა ადგენს და აწესრიგებს როგორც ახალი ობიექტების შექმნისა და წარმოების საშუალებების გაჩენის მიმართულებას, ისე ერთიან ელექტროქსელში მათი ჩართვის, აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ნორმებს. კანონი ცალსახად ხაზს უსვამს, რომ ქვეყნის მასშტაბით არსებული განახლებადი ენერჯების წყაროებიდან ელექტროენერჯის მიღება მხარდაჭერილია ეროვნულ დონეზე, რაც ინვესტორებს მაღალი სანდოობისა და პროექტის განხორციელების პროცესში თანადგომის გარანტიას აძლევს.

საქართველოს მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა

გარდა საკანონმდებლო აქტებისა, საქართველოში ენერგეტიკული საკითხები პოლიტიკის დონეზე განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის სტრატეგიით. აღნიშნული სტრატეგია შეიქმნა 2023 წელს და მხარდაჭერილია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

სტრატეგია ნათლად განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, სადაც განახლებადი და მწვანე წყაროებიდან ენერჯის მიღება ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. სტრატეგია აწესებს ენერგეტიკული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. კერძოდ:

- ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება;
- ენერჯის მოხმარების ეფექტიანობის სწრაფი ამაღლება, რათა აღმოიფხვრას ჩამორჩენა მოთხოვნის ზრდასა და შიდა მიწოდებას შორის;
- ენერჯის მიწოდების და მოხმარების ეფექტიანობის გაზრდა;
- კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბება.

ამასთან, სტრატეგიაში ცალკე თავი ეთმობა განახლებადი და მწვანე წყაროებიდან ენერჯის მიღების საჭიროებას და პრიორიტეტულობას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ“

დადგენილების მიზანი არის შემდეგი:

- ქსელის წესები განსაზღვრავს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეთა და მაძიებლების მიერ გადამცემი ქსელის განვითარების, მართვის, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის პროცედურებს, პირობებს, პრინციპებსა და სტანდარტებს.
- ამ წესების მოქმედება ვრცელდება მაძიებელსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის ქვემოთ ჩამოთვლილ მონაწილეებზე:
 - ბ) ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიანტი;
 - გ) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი;
 - დ) ელექტროენერჯის მწარმოებელი;
 - ე) განაწილების ლიცენზიანტი;
 - ვ) მომხმარებელი, რომელიც მიერთებულია გადამცემ ქსელზე;

- ბ) სხვა მომხმარებელი, რომელიც არ არის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მაგრამ თავისი პარამეტრებით თუ ადგილმდებარეობით ხვდება ამ წესების მოქმედების სფეროში (მათ შორის, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე მოსარგებლები);
- ქსელისწესებისამოცანააგანსაზღვრულპირებს(სუბიექტებს)შორისურთიერთობების რეგულირება, მათი უფლებების, მოვალეობების, პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების განსაზღვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნას:
 - ა) გადამცემი ქსელის გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ეკონომიური (უმცირესი ღირებულების პრინციპით) ხელმისაწვდომობა და გამოყენება მისი უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ექსპლუატაციის გათვალისწინებით;
 - ბ) მოსარგებლებისა და მაძიებლებისათვის ტექნიკური პირობის მოთხოვნების დადგენა;
 - გ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეთა შორის სათანადო ინფორმაციის გაცვლა.
- წესები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური და ოპერირების კრიტერიუმები, მისი გაფართოებისა და გაუმჯობესების დაგეგმვა, ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმები და სტანდარტები, ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნების გრაფიკების შედგენა და განხორციელება, მონაცემთა და ინფორმაციის გაცვლა, ელექტროენერჯის აღრიცხვის პოლიტიკა.

გარდა ზემოხსენებული კანონებისა და რეგულაციებისა, საქართველოში ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციის განხორციელების მსურველმა სუბიექტმა, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი მარეგულირებელი კანონები და დოკუმენტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ;
- საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ;
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ;
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ;
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ;
- ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები – საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება №77;
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.

დასკვნა

საქართველოში განახლებადი და მწვანე წყაროებიდან ელექტროენერჯის მიღება ეროვნული დონის პრიორიტეტების ნუსხაშია აყვანილი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება სხვადასხვა კანონების საფუძველზე, რომლებიც სრულ ჰარმონიზაციაშია ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან. შესაბამისად, ამჟამად მოქმედი ჩარჩო არათუ ზღუდავს კერძო ინვესტორს საქართველოში ენერჯეტიკის სფეროში ინვესტიციის განხორციელებისგან, არამედ საპირისპიროდ, მხარს უჭერს და თანადგომას აღუთქვამს როგორც ბარიერების დაძლევის კუთხით, ისე მატერიალური თანამონაწილეობის გზით. ამავე მოსაზრებას აძლიერებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 30 სექტემბრის განცხადება, რომლის თანახმადაც, საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს ენერჯეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვას, რათა 2030 წლის ბოლოსთვის სრულფასოვნად აკმაყოფილებდეს ქვეყნის შიგნით გენერირებულ ერთობლივ მოთხოვნას მოხმარების პიკურ პერიოდებშიც კი. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში საქართველო გეგმავს შავი ზღვის ფსკერზე 1000 მეგავატიანი წყალქვეშა ელექტროგადამცემი ქსელის მონყობას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სრულფასოვან კავშირს ევროპის ელექტროსისტემებთან. შედეგად, შესაძლებელი იქნება ენერჯის ეფექტიანი გადაცემა/მიღება.



პროექტის მიზნობრიობის
დასაბუთება

2024 წლის პირველ ნახევარში ხონის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა კვლევითი პროექტი „ხონის მუნიციპალიტეტის განახლებადი ენერჯების წყაროების კვლევა და პოტენციალის შეფასება“. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ენერგორესურსების გამოვლენა და მათი პოტენციალის შეფასება. კვლევის ძირითადი ფოკუსი მიმართული იყო მუნიციპალიტეტში განახლებადი ენერჯების წყაროების მოკვლევასა და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასებაზე საერთაშორისოდ მიღებულ/დადგენილ მახასიათებლებთან მიმართებით. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა შემდეგი ტიპის აქტივობებსა და ინფორმაციის ანალიზს:

- 1) გასულ საუკუნეში შესრულებული 1/25 000 მასშტაბის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკების განხილვა ანალიზი;
- 2) მუნიციპალიტეტი ტერიტორიის დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ორთოფოტო-გეგმების ანალიზი;
- 3) მიწის კადასტრის ტოპოგრაფიული რუკების და ორთოფოტო-გეგმების განხილვა და ანალიზი;
- 4) მუნიციპალიტეტის მდინარეების ჰიდროლოგიური მახასიათებლების დადგენა ანალიზის მეთოდით;
- 5) ქარისა და მზის ენერჯის ბუნებრივი მოდინების რეჟიმების შესახებ არსებული საინფორმაციო მასალების შესწავლა-ანალიზი;
- 6) ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქარის რეჟიმის დადგენა, მომიჯნავე მუნიციპალიტეტების ქარის რეჟიმების გაზომილ (არსებულ) მონაცემებთან კორელაციის გზით;
- 7) სამშენებლო კლიმატური პირობების ანალიზი;
- 8) პოტენციური ელექტროსადგურების და ცალკეული ნაგებობების სამშენებლო მოედნების ტოპო-გეოლოგიური პირობების შესწავლა ადგილის დათვალიერებისა და შესაბამისი გაზომვების გზით;

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის მომიჯნავე/სასაზღვრო ზონებში არსებობს განახლებადი ენერჯების შემდეგი სახის წყაროები:

- 1) ჰიდროენერჯის პოტენციალი – მდინარე ცხენისწყალი და რამდენიმე მცირე ზომის მდინარე;
- 2) ქარის ენერჯის პოტენციალი – ინტენსიური ქარის ენერჯის წყარო არსებობს ხონის მუნიციპალიტეტის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, სოფელ ივანდიდსა და მაიდანს შორის არსებულ სივრცეში;
- 3) მზის ენერჯის პოტენციალი – მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას აქვს ჰელიოენერგეტიკული პოტენციალი.;

კვლევითი ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ ხონის მუნიციპალიტეტის სამიზნე ტერიტორიაზე მოცირკულირე ქარები მჭიდრო კორელაციაშია ანაკლიის, ფოთის, სამტრედიისა და ქუთაისის ქარის რეჟიმებთან. შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის სამიზნე ტერიტორიაზე არსებული ქარის რეჟიმების დასაადგენად და საპროგნოზოდ გამოყენებული იქნა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული ქარის რეჟიმების მონაცემები. ზემოხსენებული მონაცემების საფუძველზე გაკეთებული წინასწარი შეფასებით, ხონის მუნიციპალიტეტის სამიზნე ტერიტორიაზე შესაძლებელია 20 მეგავატიანი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მოწყობა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სამი ან ოთხი 5-6 მეგავატის სიმძლავრის ქარის ენერჯის დანადგარით/ტურბინით.

ცხრილი 2 – ქარის სიჩქარე ხონის მუნიციპალიტეტში და მასთან კორელაციაში მყოფ მუნიციპალიტეტებში თვეების ჭრილში

| გამზომი სადგური | იან | თებ | მარ | აპრ | მაი | ივნ | ივლ | აგვ | სექტ | ოქტ | ნოვ | დეკ | საშ |
|--|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| ანაკლია | 2.8 | 2.8 | 2.8 | 2.5 | 2.0 | 1.7 | 1.6 | 1.6 | 1.6 | 2.0 | 2.8 | 2.5 | 2.2 |
| ქუთაისი | 5.6 | 5.6 | 5.9 | 5.7 | 4.6 | 3.7 | 3.0 | 3.4 | 3.6 | 4.8 | 7.2 | 6.7 | 5.0 |
| ფოთი | 5.2 | 5.3 | 5.0 | 4.3 | 3.6 | 3.2 | 3.2 | 2.1 | 3.2 | 4.0 | 4.9 | 5.3 | 4.1 |
| სამტრედია | 3.2 | 3.4 | 3.6 | 3.4 | 2.8 | 2.3 | 1.8 | 1.8 | 1.8 | 2.3 | 3.6 | 3.6 | 2.8 |
| ხონი (სავარაუდო) | 4.2 | 4.3 | 4.3 | 4.0 | 3.3 | 2.7 | 2.4 | 2.2 | 2.6 | 3.3 | 4.6 | 4.5 | 3.5 |
| გორი | 3.2 | 4.0 | 4.9 | 5.1 | 4.6 | 4.3 | 4.6 | 4.3 | 4.2 | 3.5 | 3.4 | 2.9 | 4.1 |
| გორის გენერაცია: E _გ | 6.7 | 6.1 | 7.9 | 8.0 | 7.4 | 6.4 | 7.7 | 7.6 | 7.6 | 7.3 | 6.7 | 6.4 | 85.8 |
| ქარის სიჩქარე 100 მ სიმაღლეზე. $V=V_0(100/11)^{0.21}$ | | | | | | | | | | | | | |
| გორში - V _{გორი} | 5.1 | 6.4 | 7.8 | 8.1 | 7.3 | 6.8 | 7.3 | 6.8 | 6.7 | 5.6 | 5.4 | 4.6 | 6.5 |
| ხონში - V _{ხონი} | 6.7 | 6.8 | 6.9 | 6.3 | 5.2 | 4.3 | 3.8 | 3.5 | 4.1 | 5.2 | 7.4 | 7.2 | 5.6 |
| სიმძლავრის განმსაზღვრელი კოეფიციენტი - $K = (V_{ხონი}/V_{გორი})$ | | | | | | | | | | | | | |
| K = V_{ხონი}/V_{გორი} | 1.31 | 1.07 | 0.88 | 0.78 | 0.71 | 0.63 | 0.52 | 0.52 | 0.61 | 0.94 | 1.36 | 1.56 | 0.86 |
| ხონის ქეს-ის სავარაუდო გენერაცია, მლნ. კვტ.სთ | | | | | | | | | | | | | |
| E_{ხონი} = E_გ*K | 8.79 | 6.52 | 6.97 | 6.24 | 5.23 | 4.06 | 4.02 | 3.93 | 4.61 | 6.83 | 9.11 | 9.99 | 76.3 |

ცხრილი 3 – ხონის მუნიციპალიტეტის ქარის რეჟიმების შედარება გორის მუნიციპალიტეტის ქარის რეჟიმებთან და მათ მიერ ენერჯის გამომუშავების პოტენციალი თვეების ჭრილში

| თვე | იან | თებ | მარ | აპრ | მაი | ივნ | ივლ | აგვ | სექტ | ოქტ | ნოვ | დეკ | წლიური |
|---|-------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|--------|
| E _{ხონი} | 8.79 | 6.52 | 6.97 | 6.24 | 5.23 | 4.06 | 4.02 | 3.93 | 4.61 | 6.83 | 9.11 | 9.99 | 76.30 |
| E _{გორი} | 6.70 | 6.10 | 7.90 | 8.00 | 7.40 | 6.40 | 7.70 | 7.60 | 7.60 | 7.30 | 6.70 | 6.40 | 85.80 |
| სიმძლავრის ეფექტურობა, სთ/წ. | ხონის ქეს-ი | | | | | | | | | | | | 3,815 |
| | გორის ქეს-ი | | | | | | | | | | | | 4,290 |
| ხონის და გორის ქეს-ების გენერაციის გრაფიკების შედარება, მლნ. კვტ.სთ | | | | | | | | | | | | | |

ცხრილი #2-3-ის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ხონის მუნიციპალიტეტის სამიზნე სივრცეში ქარის ქროლვის ეფექტიანი საშუალო პერიოდი შეადგენს 3815 საათს წელიწადში, რაც საერთაშორისოდ აღიარებულ ზოგად ეკონომიკურად მომგებიან ნულოვან სიდიდეს მნიშვნელოვნად აღემატება. ზემოხსენებული მიგნების საფუძველზე, კვლევითმა ჯგუფმა დაადგინა, რომ აღნიშნულ სივრცეში ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა ეკონომიკურად მომგებიანი იქნება. ამასთან, ქარის ეფექტიანი საათებით ხონის სამიზნე სივრცე 11%-ით ჩამორჩება გორის ქარის ელექტროსადგურის სიმძლავრეს, თუმცა განსხვავება თვეების ჭრილში გვიჩვენებს, რომ ქვეყნისათვის ელექტროენერჯის პიკური მოხმარების პერიოდში ხონის ქარის ელექტროსადგურს ექნება ელექტროენერჯის მაქსიმალური გამომუშავების შესაძლებლობა.

ადგილმდებარეობის ანალიზი

პროექტის განხორციელებისთვის შერჩეული სივრცეა ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 200.36.36428 და 34.03.55.286. აღნიშნული მიწის ნაკვეთების დანიშნულება მიმდინარე მოცემულობით პირველ შემთხვევაში წარმოადგენს ტყის ზოლს, ხოლო მეორე შემთხვევაში - სასოფლო სამეურნეო ნაკვეთს. სივრცის შერჩევა და შესწავლა ტექნიკურ დონეზე განხორციელდა 2024 წელს, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარებული შეფასებითი კვლევის საფუძველზე. კვლევის თანახმად, მიწის ნაკვეთიდან 1000 მეტრის დისტანციაზე მდებარეობს დასახლებული პუნქტი, სადაც მოხდება ქარის ელექტროსადგურის მიერ გენერირებული ენერჯის სისტემისთვის მიწოდება „შეჭრის“ მექანიზმის გამოყენებით.

ობიექტის მიკრო და მაკრო ლოკაციის ანალიზი

ქარის ელექტროსადგურის მოწყობისთვის შერჩეული ობიექტი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში სოფელ ივანდიდთან. აღნიშნული ადგილი ხონის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან რვა კილომეტრითაა დაშორებული. ნაკვეთთან მიდის სამანქანო გზა და შესაძლებელია სხვადასხვა კომუნიკაციის მარტივად მიყვანა.

ფიგურა 1 – ქარის ელექტროსადგურის მოწყობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი (ახლო ხედი)



ფიგურა 2 – ქარის ელექტროსადგურის მოწყობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი (ფართო ხედი)



ხონის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში - იმერეთის მხარეში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთით კავკასიონის მთებს და სამხრეთით მცირე კავკასიონის ქედს შორის. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება დასავლეთით წყალტუბო, სამხრეთ-დასავლეთით ქუთაისი, სამხრეთით ბაღდათი, აღმოსავლეთით ტყიბული. ხონის მუნიციპალიტეტის კლიმატი ხასიათდება დასავლეთ საქართველოს დაბლობისთვის დამახასიათებელი ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. შავ

ზღვასთან სიახლოვის გავლენით რეგიონისთვის დამახასიათებელია თბილი, ნოტიო ზაფხული და რბილი ზამთარი. ზაფხულის ტემპერატურა საშუალოდ 22°C-დან 28°C-მდეა (72°F- 82°F-), ხოლო ზამთრის ტემპერატურა, ჩვეულებრივ, მერყეობს 2°C-დან 8°C-მდე (36°F- 46°F). რეგიონი უხვნალექიანია. ნალექის წლიური რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 1500-1800 მმ-ს (59-71 ინჩი).

2023 წლის მონაცემებით, ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაახლოებით 21 000 ადამიანს შეადგენს. ადმინისტრაციული ცენტრი და უდიდესი დასახლებაა ქალაქი ხონი, სადაც ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

კავშირი დიდ ქალაქებთან და სატრანსპორტო ცენტრებთან

- თბილისი: ხონი საქართველოს დედაქალაქიდან (თბილისი) დასავლეთით დაახლოებით 240 კმ-ზე (149 მილი) მდებარეობს. თბილისიდან ხონამდე ავტომობილით მგზავრობას E60 მაგისტრალის გავლით დაახლოებით 3,5-დან 4 საათამდე სჭირდება.
- ქუთაისი: ხონთან უახლოესი დიდი ქალაქია ქუთაისი, რომელიც მდებარეობს მისგან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 30 კმ-ში (19 მილი). ხონსა და ქუთაისს შორის მგზავრობას დაახლოებით 30-40 წუთი სჭირდება.
- ბათუმი: ზღვისპირა ქალაქი ბათუმი ხონის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 170 კმ (106 მილი) მანძილზე მდებარეობს. ხონიდან ბათუმამდე მანქანით მგზავრობას დაახლოებით 2,5-3 საათი სჭირდება.

აეროპორტები

- ხონის მუნიციპალიტეტთან მდებარე უახლოესი აეროპორტია დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც მდებარეობს ხონიდან დაახლოებით 40 კმ. მანძილზე (25 მილი). მგზავრობას დაახლოებით 40-50 წუთი სჭირდება.
- თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი კი ხონიდან დაახლოებით 250 კილომეტრითაა (155 მილი) დაშორებული, მგზავრობის დრო დაახლოებით 3,5-დან 4 საათამდეა.

საზღვაო პორტები

- ხონის მუნიციპალიტეტთან მდებარე უახლოესი მთავარი საზღვაო პორტი მდებარეობს ფოთში – ხონის დასავლეთით დაახლოებით 110 კილომეტრზე (68 მილი). მანქანით მგზავრობას დაახლოებით 1,5-2 საათამდე სჭირდება.
- ბათუმის საზღვაო პორტი კი ხონის მუნიციპალიტეტიდან დაახლოებით 170 კილომეტრითაა (106 მილი) დაშორებული. ბათუმის პორტამდე ავტომობილით მგზავრობის დრო 2,5-დან 3 საათამდეა.

რკინიგზა

→ მიუხედავად იმისა, რომ ხონს არ აქვს საკუთარი რკინიგზის სადგური, ახლომდებარე ქალაქი ქუთაისი კარგად არის დაკავშირებული საქართველოს სარკინიგზო ქსელთან და დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს კავშირებს თბილისთან, ბათუმთან და ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებთან. რკინიგზის სერვისი მოიცავს როგორც სატრანსპორტო, ისე სატვირთო გადაზიდვების მომსახურებას.

წვდომა საინვესტიციო სივრცესთან


საინვესტიციოდ შერჩეული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტიდან 8 კილომეტრის დისტანციაზე. ნაკვეთი ქალაქ ხონთან სამანქანო გზითაა დაკავშირებული. შესაბამისად, ხონიდან და პირიქით, შესაძლებელია ტვირთების გადაზიდვა როგორც მცირე, ისე მაღალი გამავლობის სატვირთო ტრანსპორტით.

მოცემულ ეტაპზე ხონის მუნიციპალიტეტში და მის სიახლოვეს მიმდინარე მოცულობითი ინფრასტრუქტურული პროექტების გამო, ადგილზე ოპერირებენ კერძო პირები და კომპანიები, რომლებიც ბაზარს სთავაზობენ ტვირთების გადაზიდვის სერვისს, აგრეთვე მომსახურებას მძიმე ტექნიკის გამოყენებით.


სოფელში ფუნქციონირებს სასმელი წყლის სისტემა, მოწყობილია ელექტროენერჯის ხაზები, ხელმისაწვდომია ბუნებრივი აირი და ინტერნეტი. შესაბამისად, ინვესტიციის განხორციელების მსურველს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ადგილზე არსებული კომუნალური ინფრასტრუქტურით.

წინა ქვეთავში მიმოვიხილეთ ხონის მუნიციპალიტეტის კავშირები როგორც დიდ ქალაქებთან, ისე რკინიგზასთან, საზღვაო პორტებთან თუ აეროპორტებთან. გამომდინარე იქიდან, რომ საინვესტიციო სივრცე ქალაქი ხონიდან მოკლე მანძილზე მდებარეობს და ქალაქთან აკავშირებს სრულფასოვანი საავტომობილო მაგისტრალი, ვაკეთებთ დაშვებას, რომ საინვესტიციო სივრცის კავშირები სტრატეგიულ პუნქტებთან ქალაქი ხონის კავშირების იდენტურია, შესაბამისად, მიმდინარე ქვეთავის ფარგლებში, ამ საკითხს ცალკე არ მიმოვიხილავთ.


ფიგურა 3 – საინვესტიციო სივრცის დაშორება თბილისთან




ფიგურა 4 – საინვესტიციო სივრცის დაშორება ქუთაისთან



ფიგურა 5 – საინვესტიციო სივრცის დაშორება ფოთის პორტთან





ბაზრის კვლევა

ელექტროენერჯის როლი საქართველოსთვის

საქართველოს ენერჯის სისტემის ექსპერტიზა

90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს ელექტროსისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. 2000-იან წლებში ქვეყანაში დაიწყო მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია ენერჯეტიკაში შექმნილი რთული ვითარების გადასაღებად. საქართველოს მთავრობამ აღიარა ენერჯეტიკის სექტორის მოდერნიზაციის აუცილებლობა და წამოიწყო ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები, რაც მოიცავდა არსებული სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას, ელექტროენერჯის წარმოებაში კონკურენციის დანერგვას და უცხოური ინვესტიციების დაშვებას. ახალ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით და არსებული ობიექტების რეაბილიტაციის გზით, საქართველოში დაიწყო ელექტროენერჯის გამომუშავების სიმძლავრის ეტაპობრივი აღდგენა.

ელექტროენერჯის სექტორის ლიბერალიზაციამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნას, რომელიც ზედამხედველობას უწევს ენერჯის წარმოებას და განაწილებას, რაც უზრუნველყოფს ბაზრის სტანდარტებთან შესაბამისობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემა ძირითადად ჰიდროენერჯეტიკაზეა დაფუძნებული და ელექტროენერჯის დაახლოებით 80%-ს განახლებადი წყაროებიდან გამოიმუშავებს.

ბოლო წლებში საქართველომ ენერჯის ექსპორტის გაზრდაზეც გაამახვილა ყურადღება. მეზობელი ქვეყნები გახდნენ ძირითადი პარტნიორები ელექტროენერჯით ვაჭრობისთვის, რაც საქართველოს ჭარბი ენერჯის ექსპორტის საშუალებას აძლევს, განსაკუთრებით უხვწყლიანობის სეზონზე. იმპორტის საჭიროების შემთხვევაში კი, ქსელის დასაბალანსებლად თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ენერჯეტიკულ ვაჭრობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს საქართველოს, როგორც რეგიონული ენერჯეტიკული ცენტრის ფუნქციას. მეტიც - საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ ენერჯეტიკულ ქსელებში ხაზს უსვამს ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ევროპულ ენერჯეტიკულ პოლიტიკასთან შესაბამისობისკენ სწრაფვით, საქართველომ აიღო ვალდებულება გაზარდოს ენერჯეტიკული ექსპორტი და შეამციროს ნახშირბადის ემისიები. ეს ვალდებულება აისახება მიმდინარე პროექტებში, რომელთა მიზანია განახლებადი ენერჯის წყაროების, მათ შორის მზის და ქარის ენერჯის გამოყენების შესაძლებლობების გაფართოება.

საქართველოში დღეს ელექტროენერჯია არამხოლოდ კომუნალური მომსახურება, არამედ ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი, თანამედროვე ინფრასტრუქტურის საფუძველი და ენერჯეტიკული უსაფრთხოების აუცილებელი ელემენტიცაა. ქვეყანა

ენერგეტიკული ტრანსფორმაციის პროცესშია და აქტიურად ცდილობს გახდეს მდგრადი ენერჯის მწარმოებელი, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას და მდგრადობას გლობალური ენერგეტიკული დინამიკის ცვლილების პირობებში.

ელექტროენერჯის როლი მშპ-ს ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებაში

ელექტროენერჯის გამომუშავება და მოხმარება გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკურ ლანდშაფტში, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასა და ზოგადად, ეკონომიკურ განვითარებაზე. ელექტროენერჯის სტაბილური მიწოდება საფუძველს უმყარებს სამრეწველო პროდუქტიულობას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ძირითადი სერვისების ფუნქციონირებას, როგორცაა ჯანდაცვა და განათლება.

საქართველოში ელექტროენერჯის ეფექტურობა დადებითად აისახება სხვადასხვა სექტორზე, რაც მას პროდუქტიულობის დონის ამაღლების ინსტრუმენტად/ფაქტორად აქცევს. ჰიდროელექტროენერჯის გამომუშავების უზარმაზარი პოტენციალი საქართველოს საშუალებას აძლევს აწარმოოს ელექტროენერჯია კონკურენტულ ფასებში, რაც სხვადასხვა სექტორში ბიზნესისთვის საოპერაციო ხარჯებს შეამცირებს. უწყვეტ ელექტროენერჯიაზე ხელმისაწვდომობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა სექტორისთვის, როგორცაა წარმოება, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის მშპ-ს ზრდას.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა უცხოური ინვესტიციები საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში, რაც, ერთი მხრივ მთავრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკით, მეორე მხრივ კი ქვეყნის განახლებადი ენერჯის პოტენციალით არის ნახალისებული. კაპიტალის შემოდინებამ ხელი შეუწყო ახალი ელექტროსადგურების განვითარებას, ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ინოვაციებს ენერგეტიკულ ტექნოლოგიებში. ინვესტიციები არა მხოლოდ ახალისებს ეკონომიკურ აქტივობას, არამედ გრძელვადიანად უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, რაც აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

ელექტროენერჯია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში. სოფლად ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობის გაფართოება იყო მთავრობის ფოკუსირებული ინიციატივა განათლების, ჯანდაცვის და ზოგადად ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. როდესაც შინამეურნეობებს აქვთ საიმედო ელექტროენერჯია, ხელი ეწყობა ეკონომიკური შესაძლებლობების - მაგალითად, მცირე საწარმოების გაჩენას და თვითდასაქმებას განვითარებას, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდას.

ამასთან, საქართველოს სტრატეგიული ხედვა და მიზანია გახდეს რეგიონული ენერგეტიკული ჰაბი.

ენერგეტიკული უსაფრთხოების როლი

ენერგეტიკული უსაფრთხოება საქართველოს ეროვნული სტრატეგიის ფუნდამენტური საყრდენია. განსაკუთრებით, ელექტროენერჯის მიწოდების კონტექსტში. ენერგეტიკული უსაფრთხოების ცნება მოიცავს ენერგორესურსების საკმარისი რაოდენობით დროულ მიწოდებას, ენერგეტიკული ქსელების სტაბილურობის შენარჩუნებას და ენერგეტიკული სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფას გარე შოკებისა და შეფერხებების მიმართ. საქართველოსთვის, როგორც მდიდარი ჰიდროენერგეტიკული შესაძლებლობების, თუმცა, ამავდროულად გეოგრაფიული და პოლიტიკური გამონწვევების მქონე ქვეყნისთვის, ენერგეტიკული უსაფრთხოება გადამწყვეტია ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ჰიდროენერჯია, რომელიც საქართველოს ელექტროენერჯის დაახლოებით 80%-ს შეადგენს, ერთი მხრივ, განახლებადი ენერჯის წყაროა, თუმცა, მეორე მხრივ მისი გამოყენება ზრდის ქვეყნის მონყვლადობას კლიმატური ცვლილებებისადმი. გვალვებმა ან ნალექის ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ჰიდროენერგეტიკაზე, რაც გამოიწვევს პრობლემებს ენერჯის ერთ წყაროზე დამოკიდებულებისას. ამრიგად, ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება გულისხმობს ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციას, როგორცაა მზის და ქარის ენერჯების ეფექტიანი გამოყენება.

მარეგულირებელი ჩარჩოებისა და დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოების ჩამოყალიბებამ საქართველოს ენერგეტიკის სექტორი გააძლიერა. ელექტროენერჯის მარეგულირებელი ეროვნული კომისია გადამწყვეტ როლს ასრულებს სამართლიანი ფასების უზრუნველყოფის, კონკურენციის ხელშეწყობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საქმეში. ეს ზომები აძლიერებს ენერგეტიკული ბიზნესის გამჭვირვალობას და აუმჯობესებს ნდობას ბაზრის საკვანძო მოთამაშეებს შორის, რაც კიდევ უფრო ამყარებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

ელექტროენერჯის გამომუშავების ამჟამინდელი წყაროები საქართველოში და ძირითადი გამონწვევები

საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების ამჟამინდელ ბადეში დიდწილად დომინირებს განახლებადი წყაროებით, პირველ რიგში ჰიდრორესურსით მიღებული ელექტროენერჯია. ჰიდროენერგეტიკის გარდა, საქართველო თანდათან ელექტროენერჯის წარმოების სხვა წყაროებსაც ავითარებს.

მაშინ, როცა ჰიდროენერგეტიკა უზრუნველყოფს ქვეყნის ელექტროენერჯის მიწოდების დაახლოებით 80%-ს, დარჩენილი 20% ძირითადად შედგება თერმული (გაზზე

დაფუძნებული) ელექტროენერჯის გამომუშავებისგან, რომელიც გამოყენებულია, როგორც დამატებითი წყარო ჰიდროენერჯის დაბალი წარმოების ან პიკური მოთხოვნის პერიოდში. რამდენადაც ქვეყანა ცდილობს გააძლიეროს თავისი ენერჯეტიკული დამოუკიდებლობა, ინვესტიციები ქარისა და მზის ენერჯიაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

განახლებადი ენერჯის პერსპექტიული პოტენციალის მიუხედავად, საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ლანდშაფტი რამდენიმე კრიტიკული გამოწვევის წინაშე დგას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა წარმოიქმნება კლიმატთან დაკავშირებული მოწყვლადობით, რომელიც გავლენას ახდენს ჰიდროენერჯიაზე. გვალვის ან არარეგულარული ნალექის გახანგრძლივებულმა პერიოდებმა შეიძლება მკვეთრად იმოქმედოს წყალსაცავებში წყლის დონეზე, რაც შემდგომში გამოიწვევს ელექტროენერჯის წარმოების შემცირებას პიკური მოთხოვნის სეზონებში. წყლის რესურსებზე დამოკიდებულება ამაღლებს საქართველოს სენსიტიურობას კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების მიმართ, რაც მოითხოვს დამატებითი ენერჯის წყაროების განვითარებას.

ელექტროენერჯის გამომუშავების მიმდინარე და მომავალი დეფიციტის დაძლევა

იმის გამო, რომ საქართველოში ჰიდროენერჯეტიკაზე ძირითადი დამოკიდებულება გრძელდება, ქვეყანას ემუქრება ელექტროენერჯის დეფიციტის რისკი გვალვის ან წყლის დაბალი დონის დროს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს წარმოების სიმძლავრე. მზისა და ქარის ელექტროსადგურების გაფართოებამ შეიძლება შეამსუბუქოს ეს დაუცველობა. ქარის ენერჯის გამომუშავება პიკს აღწევს შემოდგომის და ზამთრის თვეებში, როდესაც ელექტროენერჯის მოთხოვნა ჩვეულებრივ იზრდება გათბობის საჭიროების ზრდის გამო. ჰიდროენერჯეტიკის ქარის ენერჯით შევსებით, საქართველოს შეუძლია მიაღწიოს უფრო დაბალანსებულ და საიმედო ენერჯომომარაგებას.

სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

განახლებადი ენერჯების ინტეგრაცია საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების პორტფელში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. ქარის ენერჯიაში ინვესტირება ქმნის სამუშაო ადგილებს როგორც სადგურების ინსტალაციისას, ისე მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის პროცესში, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდას. გარდა ამისა, განახლებადი ენერჯის მიმართ საერთაშორისო ინტერესის მატებასთან ერთად, საქართველოს შეუძლია მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები მისი სტრატეგიული პოზიციონირებისა და ქარის ხელსაყრელი რეჟიმების გამო. ქარის ელექტროსადგურების მოწყობას შეუძლია აამაღლოს ქვეყნის, როგორც განახლებადი ენერჯის წყაროს რეპუტაცია, რაც ხელს შეუწყობს შემდგომი

ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებას, როგორცაა კვლევა, განვითარება და ინოვაციები სუფთა ტექნოლოგიებში.

ბაზარზე არსებული დინამიკა

საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება, მისი მიწოდება და შემდეგ ადმინისტრირება დაყოფილია სეპარირებულ სექტორებად. საქართველოს ელექტროსისტემის ძირითადი კომპონენტებია:

- **გენერაცია:** ჰიდროელექტროსადგურები, თბოელექტროსადგურები და მცირე რაოდენობით ქარის და მზის ენერჯია;
- **გადაცემა:** მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, რომელსაც ოპერირებას უწევს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე);
- **დისტრიბუცია:** რეგიონული სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საბოლოოდ ელექტროენერჯის მომხმარებლებისთვის მიწოდებაზე;

გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერჯის წარმოების სექტორი არ ითვალისწინებს ლოკალურობის კომპონენტს და მისი მიწოდება ერთიანი ეროვნული ელექტროსისტემის მიერ ხორციელდება, შეფასებაც კეთდება ეროვნული მოთხოვნა-მიწოდების ფორმატში.

ცხრილი 4 – ელექტროენერჯის და თბოენერჯის მიწოდება და მოხმარება, 2022

| | ჰიდრო (გვტ.სთ) | ქარი | გაოთხარგული (ტა) | გზის (ტა) | ელეკტრო- ენერჯია (გვტ.სთ) |
|--------------------------------------|-------------------|------|---------------------|--------------|------------------------------|
| წარმოება | 10,771.4 | 87.5 | 695.8 | 152.1 | 14,246.6 |
| იმპორტი | - | - | - | - | 4,693.4 |
| ექსპორტი | - | - | - | - | 4,131.3 |
| მარაგების ცვლილება | - | - | - | - | - |
| შიდა მიწოდება | 10,771.4 | 87.5 | 695.8 | 152.1 | 14,808.7 |
| გარდაქმნები | - | - | - | - | - |
| სტატისტიკური განსხვავება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ტრანსფორმაციის სექტორი - შემავალი | 10,771.4 | 87.5 | - | - | - |
| ჰიდროელექტროსადგურები | 10,771.4 | - | - | - | - |
| ქარის ელექტროსადგურები | - | 87.5 | - | - | - |
| ტრანსფორმაციის სექტორი - წარმოება | - | - | - | - | 14,246.6 |
| თბოელექტროსადგურები | - | - | - | - | 3,387.7 |

| | | | | | |
|--|---|---|-------|-------|----------|
| ჰიდროელექტროსადგურები | - | - | - | - | 10,771.4 |
| ქარის ელექტროსადგურები | - | - | - | - | 87.5 |
| ენერგეტიკის სექტორის საკუთარი მოხმარება | - | - | - | - | 287.6 |
| ქვანახშირის მალაროები | - | - | - | - | 13.2 |
| თბოელექტროსადგურები | - | - | - | - | 139.0 |
| ჰიდროელექტროსადგურები | - | - | - | - | 135.4 |
| სხვა | - | - | - | - | 0.0 |
| დანაკარგები | - | - | 58.4 | - | 1,135.6 |
| საბოლოო მოხმარება | - | - | 637.4 | 152.1 | 13,385.5 |
| მრეწველობა | - | - | - | - | 3,638.6 |
| თუჯი და ფოლადი | - | - | - | - | 1,953.7 |
| ქიმიური და ნავთობქიმიური | - | - | - | - | 290.9 |
| ფერადი ლითონები | - | - | - | - | - |
| არალითონური მინერალური ნაკეთობები | - | - | - | - | 341.5 |
| სატრანსპორტო მოწყობილობები | - | - | - | - | 3.2 |
| მანქანა - მოწყობილობები | - | - | - | - | 19.0 |
| სამთომოპოვებითი ¹ | - | - | - | - | 153.6 |
| საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო | - | - | - | - | 278.1 |
| ცელულოზა-ქაღალდი და ბეჭდვითი საქმიანობა | - | - | - | - | 20.1 |
| ხე და ხის ნაწარმი | - | - | - | - | 5.4 |
| მშენებლობა | - | - | - | - | 198.3 |
| ტექსტილი და ტყავი | - | - | - | - | 16.7 |
| მრეწველობის სხვა დარგები | - | - | - | - | 358.1 |
| ტრანსპორტი | - | - | - | - | 234.4 |
| სარკინიგზო | - | - | - | - | 206.4 |
| მილსადენი ტრანსპორტი | - | - | - | - | 19.4 |
| სხვა | - | - | - | - | 8.6 |
| სხვა | - | - | 637.4 | 152.1 | 9,512.5 |
| კერძო და სახელმწიფო მომსახურება | - | - | 328.4 | 147.3 | 3,694.9 |
| შინამეურნეობები | - | - | 265.2 | 4.8 | 2,682.0 |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | - | - | 43.8 | - | 107.0 |
| სხვა | - | - | - | - | 3,028.6 |

ცხრილ #4-ში მოცემული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საქართველოში ელექტროენერჯის მოპოვება ჯამურად აკმაყოფილებს მასზე არსებულ მოთხოვნას. თუმცა, განსხვავება თვალსაჩინოა მოპოვების პერიოდებს შორის. მდინარეებში წყლის მაღალი მოდინების პირობებში საქართველო ახდენს ელექტრო ენერჯის ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში, ხოლო საპირისპიროდ, მდინარეებში წყლის დონის შემცირების კვალდაკვალ, ახორციელებს მის იმპორტს. მიუხედავად იმისა, რომ ჯამურად წარმოება მოხმარების შესაბამისია, ელექტროენერჯის მოხმარების პიკური პერიოდების განმავლობაში ქვეყანაში არსებული ელექტროენერჯის საწარმოო სიმძლავრეები ვერ უძლებს დატვირთვას და საჭირო ხდება ელექტროენერჯის იმპორტი. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერჯის ექსპორტი მეტწილად ენერჯეტიკულ ბირჟაზე ძალიან დაბალი ფასების პერიოდში, ხოლო იმპორტი მეტწილად ფასების პიკურობის პერიოდში ხორციელდება. ეს თანაფარდობა გვიჩვენებს, რომ საქართველოში საჭიროა საწარმოო სიმძლავრეების დაბალანსება არსებული ჰიდრორესურსების ეფექტიანი მართვისა და ენერჯეტიკული უსაფრთხოების გარანტირების მიზნით.

ქარის ელექტროსადგურის მოწყობაში ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობა

საქართველოში ქარის ელექტროსადგურის მოწყობის მსურველმა პირმა მონაწილეობა უნდამიიღოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სპეციფიკური მხარდაჭერის სქემაში. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის შეთავაზების შესახებ“¹ განსაზღვრული სქემა გულისხმობს დაინტერესებული პირების მხრიდან ინტერესის გამოხატვას და განაცხადის გაკეთებას განახლებადი ენერჯიებიდან ელექტროენერჯის წარმოების პროცესში ჩასართავად. აღნიშნული სქემა, გარდა პირდაპირი მხარდაჭერისა, დაინტერესებულ ინვესტორს სთავაზობს შესაძლებლობას ელექტროსისტემას მიაწოდოს ელექტროენერჯია და მხარი დაუჭიროს აღნიშნული პროექტის განხორციელებას როგორც საკანონმდებლო მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში არსებული მოთხოვნების კომპლექსური გავლის, ისე ფიქსირებული ფასის შეთანხმებისა და საჯარო-კერძო თანამშრომლობის ჩარჩოს შეთავაზებით. პირდაპირ შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარადგინონ განაცხადები. მიმდინარე ეტაპზე განაცხადების მიღება დაწყებულია 2024 წლის 2 სექტემბრის 09:00 საათიდან და გრძელდება 2025 წლის 28 თებერვლის 18:00 საათამდე. განაცხადების წარდგენა უნდა მოხდეს „განახლებადი

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
<https://www.economy.ge/?page=economy&s=201&lang=ge>

წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემით მოსარგებლეების პირდაპირი წესით შერჩევის გამოცხადების შესახებ“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 23 აგვისტოს N1-1/323 ბრძანების დანართით განსაზღვრული ფორმით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო N1.

განაცხადის ფორმა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ინტერესის გამოხატვა, გულისხმობს შემდეგი სახის ინფორმაციის წარდგენას:

- იურიდიული/ფიზიკური პირის დასახელება;
- საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი;
- იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი;
- საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი);
- ჰიდრო (მოდინებაზე), ქარი, მზე;
- პროექტის დასახელება;
- ადგილმდებარეობა;
- დადგმული სიმძლავრე;
- საშუალო წლიური გამომუშავება;
- ფასთა სხვაობის ტარიფი (ფიქსირებული, ესკალაციის-დეესკალაციის გარეშე).

ამასთან, ტექნიკური დოკუმენტაციის წარსადგენად გასათვალისწინებელია ქვემოთ მითითებული ინფორმაცია:

დაინტერესებული პირი, მხარდაჭერის სქემით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, წარადგენს განაცხადს წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) განმცხადებლის შესახებ სრულ ინფორმაციას (კომპანიის დასახელებას; ამონაწერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან უცხო ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება შესაბამისი იურიდიული პირის არსებობა, მისი სარეგისტრაციო მონაცემები, ინფორმაცია პარტნიორების/დამფუძნებლებისა და დირექტორების შესახებ და რომელიც შესაბამისად დადასტურებული უნდა იყოს აპოსტილით ან უნდა იყოს ლეგალიზებული; იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს; საკონტაქტო ინფორმაციას);
- ბ) პოტენციური ელექტროსადგურის პროექტის შესახებ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას;
- გ) შეთავაზებულ ტარიფს;

- დ) პროექტის განხორციელების სავარაუდო გეგმა-გრაფიკს;
- ე) სიმძლავრის აუქციონში მონაწილეობის შემთხვევაში – განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრის (მეგავატი) 10 000 (ათი ათასი) ლარზე გამრავლებით. ამასთანავე, მისი მოქმედების ვადა განაცხადების მიღების დასრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 6 (ექვსი) თვით;
- ვ) „სიმძლავრის აუქციონის წესებით“ მოთხოვნილ სხვა დოკუმენტაციას.

დაინტერესებული პირის განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) ობიექტის განთავსების ადგილმდებარეობა და ძირითადი პარამეტრები;
- ბ) პოტენციური მშენებარე ობიექტის ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა (მასშტაბი – 1:25000);
- გ) ობიექტის განთავსების ტერიტორიის მოკლე გეოლოგიური მონაცემები, გეოლოგიური რუკა (მათ შორის, ფონდურ მასალებზე დაყრდნობით);
- დ) ობიექტის განთავსების ტერიტორიის სეისმური მონაცემები, სეისმური რუკა;
- ე) ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემები (საშუალო თვიური მაჩვენებლები), ქარის ელექტროსადგურის შემთხვევაში – ქარის დაკვირვების მონაცემები, ხოლო მზის ელექტროსადგურის შემთხვევაში – მზის დაკვირვების მონაცემები (მათ შორის, ფონდურ მასალებზე დაყრდნობით);
- ვ) ენერგეტიკული მოდელი (სავარაუდო გამომუშავების შესახებ);
- ზ) პირველადი მონაცემები გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
- თ) ქსელზე მიერთების სავარაუდო სქემა და ქსელის შესაძლებლობა, მიიღოს გამომუშავებული ელექტროენერჯია;
- ი) ინფორმაცია ინფრასტრუქტურის თაობაზე (არსებული და მშენებარე გზები და ტანილი უნდა იყოს ტოპო-რუკებზე, სავარაუდო მანძილების მითითებით);
- კ) სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა;
- ლ) ეკონომიკური ანგარიში (პროექტის ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციის მოცულობას, ხანგრძლივობას, საკრედიტო განაკვეთს);
- მ) ფინანსური მოდელი როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით;
- ნ) ცნობა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან/და უცხო ქვეყნის შესაბამისი უწყების
- მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ:
- ნ.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში, კუთვნილ ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა არ არის რეგისტრირებული;
- ნ.ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში, კუთვნილ ქონებაზე ან ამავე იურიდიული პირის წილებზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა არ არის რეგისტრირებული (თარგმანის შემთხვევაში, დამოწმებული აპოსტილით ან ნოტარიულად);

- ო) ცნობა მოვალეთა ან/და უცხო ქვეყნის შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის არარსებობის თაობაზე (თარგმანის შემთხვევაში, დამოწმებული აპოსტილით ან ნოტარიულად);
- პ) იურიდიული პირის შემთხვევაში, ცნობა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან უცხო ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის ლიკვიდაცია;
- ჟ) იურიდიული პირის შემთხვევაში, ცნობა შესაბამისი განსჯადობის საქალაქო სასამართლოდან ან/და უცხო ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის/რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- რ) ამ დადგენილების მიზნებისთვის, დაინტერესებული პირი ვალდებულია, ელექტრონურგეტიკულ სისტემასთან ელექტრონურგეტიკის შემნახველი მონაცემების ტექნიკური შესაბამისობის დასადასტურებლად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრო-სისტემიდან“ წარმოადგინოს შესაბამისი წერილი.

3. ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ვერსია განთავსებული უნდა იყოს CD დისკზე ან ფლეშმეხსიერების ბარათზე).

4. სიმძლავრის აუქციონის კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს აგრეთვე სხვა ინფორმაცია.

ამავე პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობა, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინოს ინფორმაცია გარანტირებული ფასის შესახებ. მიმდინარე გამოცხადების ფარგლებში გარანტირებული ფასი შეადგენს 0,06 ცენტს (დოლარი) ქარის ელექტრო სადგურისთვის.

დაფინანსების წყაროები

განახლებადი, მწვანე და სუფთა ენერჯია ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომელიც ხასიათდება მუდმივად მზარდი მოთხოვნითა და განვითარებით. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სპეციფიკური მხარდაჭერი მექანიზმების კვალდაკვალ, საქართველოში ლიცენზირებულმა საბანკო ინსტიტუციებმა სექტორის მხარდასაჭერად სპეციფიკური სასესხო პროდუქტები შეიმუშავეს.

TBC ბანკი - საქართველოში არსებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბანკო დაწესებულებაა. TBC ბანკი დაინტერესებულ ინვესტორებს სთავაზობს სესხს, რომელიც მორგებულია მზისა და ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაზე. სესხის პირობების თანახმად, მსესხებელს უფლება აქვს თანხა გამოიყენოს ძირითადად ქარის ტურბინების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად. სესხის პირობები მორგებულია

ქარის ელექტროსადგურის გამომუშავების შესაძლებლობებზე და მსესხებელს სთავაზობს ქარის ელექტროსადგურის შემოსავალზე დაფუძნებული სესხის მიღების შესაძლებლობას. სესხის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/geff-project>

პროკრედიტ ბანკი - პროკრედიტ ბანკი საქართველოს მასშტაბით მსურველებს სთავაზობს ენერგოეფექტური სესხის პროგრამას, რომლის ერთ-ერთი მიზანიც არის სესხის მიღება ქარის ელექტროსადგურის მოსაწყობად საჭირო პროექტების განსახორციელებლად. პროექტი ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით და გულისხმობს სესხის გაცემას ქარის ელექტროსადგურის შემოსავლიანობის სტრუქტურის საფუძველზე.

ანარმოე საქართველოში - სააგენტო ანარმოე საქართველოში სამთავრობო უწყებაა, რომელიც ახორციელებს ბიზნესის მხარდამჭერ სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებს საქართველოს ტერიტორიაზე. სააგენტოს მიერ შემუშავებული ერთ-ერთი პროგრამა „ბიზნეს უნივერსალი“ მხარს უჭერს ქარის ელექტროსადგურების მშენებლობას საქართველოში. სააგენტოს მიერ დაწესებული პირობების თანახმად, მხარდაჭერა გათვალისწინებულია მხოლოდ 500 კილოვატამდე სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურებზე, თუკი პროექტი არ მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შეთავაზებულ მხარდაჭერის სხვა პროგრამაში, მათ შორის მხარდაჭერის სქემაში, რომელიც უკვე განხილულია წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში. პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/Business-Universal>

აღსანიშნავია, რომ საბანკო ინსტიტუციების მიერ შექმნილი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა/განვითარების მხარდამჭერი სპეციფიკური პროგრამები შემუშავებულია სწორედ სააგენტოს მიერ ინიცირებული მხარდაჭერის საფუძველზე. ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 30 სექტემბრის განცხადების შემდგომ, ექსპერტულ წრეებში არსებობს მოლოდინი, რომ შესაძლოა, სააგენტომ „ანარმოე საქართველოში“ გააფართოოს პროგრამის დაფარვის არეალი 500 კილოვატზე უფრო დიდი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების მოწყობის დასაფინანსებლად.

პროექტის განსახორციელებლად საჭირო სერვისის პროვაიდერები

2014 წელს საქართველოში, კერძოდ, გორში აშენდა ქარის ელექტროსადგური. მისი მშენებლობა განხორციელდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ და ერთ-ერთ მიზნად ისახავდა მწვანე ენერჯის გამომუშავების მიმართულების პოპულარიზაციას. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდგომ, საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სივრცეების შესწავლა და მოკვლევა, ქარის

ელექტროსადგურების მშენებლობის პოტენციალის გამოსავლენად. ამასთან, საქართველოს მთავრობის საჯარო-კერძო თანამშრომლობის სააგენტოს მიერ გასაჯაროებულა ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის რამდენიმე პროექტი. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ეტაპზე ღია წყაროების მონიტორინგისა და ექსპერტთა გამოკითხვის საფუძველზე, საქართველოს ბაზარზე ვერ იქნა მიკვლეული სპეციალიზებული სუბიექტი, რომელსაც ექნებოდა სრული სპექტრის სამუშაოების წარმოების გამოცდილება - შეკვეთის მიღებიდან მისი დამონტაჟება-ტესტირების ჩათვლით. საქართველოში მზის პანელების დამონტაჟებაზე მომუშავე კომპანიები აცხადებენ, რომ პორტფელში აქვთ ქარის ელექტროსადგურების პროექტების მომზადების გამოცდილება, თუმცა, უშუალოდ სამუშაოების განხორციელების გამოცდილება ვერ იქნა მიკვლეული. როგორც გამოირკვა, 2014 წელს აშენებული გორის ქარის ელექტროსადგურის უშუალო ტექნიკური ფაზა შესრულდა უცხოელი სპეციალისტების მიერ. შესაბამისად, პროექტის განხორციელების პროცესში ყურადღება მისაქცევია სათანადო კვალიფიკაციის პერსონალის მოზიდვაზე, მომზადება-გადამზადებაზე და სათანადო კონტრაქტორების შერჩევაზე, რომელთაც ექნებათ მსგავსი მასშტაბის პროექტების განხორციელების გამოცდილება.

საინვესტიციო პროექტის აღწერა

წინამდებარე დოკუმენტით მიმოხილული ქვეთავების მიზანია დაინტერესებულ სუბიექტებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ქვეყნის, მისი მოწყობის, ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ. დოკუმენტში განხილულია აგრეთვე, ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული ძირითადი ტრენდები და ბაზრის განვითარების დინამიკა.

მომდევნო ქვეთავებში კი მოცემულია საინვესტიციო პროექტის კონცენტრირებული აღწერა და მასთან დაკავშირებული საკითხების შინაარსობრივი განხილვა, რაც დაინტერესებულ პირს მიაწვდის ამომწურავ ინფორმაციას ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობაზე, ვადებზე, საინვესტიციო პროექტის ბიუჯეტზე, მის შემოსავლიანობასა და რისკებზე.

საინვესტიციო პროექტის შინაარსობრივი აღწერა

→ მიმდინარე საინვესტიციო შეთავაზების ფარგლებში განხილულია ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 20 მეგავატიანი დადგმული სიმძლავრის მქონე ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობა. პროექტის განხორციელების მიზნით ჩატარდა ბაზრის კვლევა და გამოირკვა საქართველოში მსგავსი პროექტის იმპლემენტაციის შესაძლებლობა. კვლევამ ცხადყო, რომ ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო მარეგულირებელი ჩარჩო და საქართველოს მთავრობის პოლიტიკა სრულფასოვნად უჭერს მხარს განახლებადი მწვანე ენერჯის პროექტების განხორციელებას, რომელსაც გააჩნია მინიმალური (ნეგატიური) გავლენა გარემოზე

და ქმნის ახალი სუფთა ენერჯიების წარმოების პოტენციალს. ამასთან, ქვეყანაში მოქმედი საბანკო და საფინანსო ინსტიტუციების მიერ შემუშავებულია მზისა და ქარის ფერმის მშენებლობის მხარდაჭერაზე მიმართული სპეციფიკური ფინანსური პროდუქტები.

საინვესტიციო პროექტის უპირატესობები

- 20 მეგავატიანი ქარის ელექტროსადგურის მოწყობაში ინვესტირებით დაინტერესებულ მხარეებს საქართველოს მთავრობა სთავაზობს გარანტირებულ საფასო შეთავაზებას. მისი ვადიანობა განისაზღვრება 15 წლით, მოცულობა კი შეადგენს 0,06 აშშ დოლარით დღგ-ს (დამატებული ღირებულების გადასახადი) გარეშე.
- ბაზარზე მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე მუდმივად მზარდია, რაც უზრუნველყოფს ბაზრის სიჯანსაღეს და ქმნის რეინვესტირებისა და სამომავლო ზრდის პერსპექტივას.
- ქარის ელექტროსადგურის ნეგატიური გავლენა გარემოზე მინიმალურია, ამიტომ ქეს-ის მოწყობა, როგორც წესი, მოწონებული და ნახალისებულია როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან.
- ლოკალურ დონეზე ხელმისაწვდომია იაფი სამუშაო ძალა. ამასთან, ქვეყანაში განვითარებულია ტექნიკური მიმართულებით მომუშავე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალის გადამზადებას ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
- სახელმწიფოს მხრიდან შექმნილია სექტორის მხარდამჭერი სპეციფიკური სქემები, რომლებიც ერთი მხრივ გვთავაზობენ ფინანსურ მხარდაჭერას, მეორე მხრივ კი ფასის გარანტირებადაც გვევლინებიან.
- ქვეყანაში მოქმედი საბანკო და საფინანსო ინსტიტუციების მიერ შემუშავებულია მზისა და ქარის ფერმის მშენებლობის მხარდაჭერაზე მიმართული სპეციფიკური ფინანსური პროდუქტები.
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული მოტივირებულია მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტის მწვანე ტრანსფორმაციას, რაც მუნიციპალიტეტის სტრატეგიული დოკუმენტებითაც დასტურდება. თვითმმართველობა გამოთქვამს სრულფასოვან მზაობას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დაეხმაროს პროექტის განხორციელებას როგორც შინაარსობრივი, ისე საგადასახადო მიმართულებით.
- ქვეყანაში მოქმედებს მარტივი და მოქნილი საგადასახადო სისტემა, რომელიც საინვესტიციო პროექტებისთვის მცირე საგადასახადო ტვირთის გარანტიორია.

საინვესტიციო პროექტის ინტეგრაცია ღირებულებათა ჯაჭვში

საქართველოში მოქმედი მხარდამჭერი სქემების საფუძველზე ენერგო სექტორში მოქმედი, განახლებადი ენერჯიის გამომუშავებაზე ორიენტირებული ბიზნეს სუბიექტები მარტივად ერთვებიან ერთიან სისტემაში. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნულ დონეზე

ელექტროენერჯის დისტრიბუცია მკაცრად რეგულირებადი სფეროა, ინდივიდუალურ ბიზნეს-სუბიექტებს არ აქვთ საჭიროება, თავადვე ეძებონ გასაღების ბაზრები ან/და გაიღონ მარკეტინგული ხარჯები პროდუქციის რეალიზებისთვის. ეკონომიკის სამინისტროს მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის სქემა ავტომატურად გულისხმობს ქსელში ჩართვას, გარანტირებულ ფასს წელიწადში 9 თვის ვადით, რაც წარმოებული ელექტროენერჯის გაყიდვის უალტერნატივო პირობას წარმოადგენს.

პროექტის ბიუჯეტი

წინამდებარე პროექტის ბიუჯეტის დათვლისათვის გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკა და ანალოგიის მეთოდი. ვებ-სივრცეში არსებული ღია წყაროებისა და კვლევითი დოკუმენტების თანახმად, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისთვის ყოველ მეგავატზე გასაწევი დანახარჯები მერყეობს 900 000\$-დან 1 200 000\$-მდე. ფასი დამოკიდებულია სივრცეზე, მის ლოგისტიკურ გამტარობაზე, ელექტროქსელიდან დაშორებაზე და სხვა ფაქტორებზე. ამასთან, 2023 წლის 16 იანვარს ღია ვებ-წყაროების მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში GIG ჰოლდინგი სკრაში 20,7 მეგავატის დადგმული სიმძლავრის მქონე ქარის ელექტროსადგურის მშენებლობას გეგმავს, რომლის საპროგნოზო საინვესტიციო ხარჯები 23 მილიონ დოლარს შეადგენს.

ზემოხსენებული მონაცემების საფუძველზე კეთდება დაშვება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სამიზნე ტერიტორიაზე 20 მეგავატიანი ქარის ელექტროსადგურის ასაშენებლად საჭირო ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 22 მილიონ აშშ დოლარს.

პროექტის საკვანძო მაჩვენებლები

| | |
|---|----------------|
| ქარის ელექტროსადგურის სიმძლავრე | 20 000 KWP |
| ელექტროენერჯის ფასი (USD) | 0.06 USD |
| ეფექტიანი ქარის საათების რაოდენობა (წლიური) | 3815 |
| პროექტის სასიცოცხლო ციკლი | 20 წელი |
| პროექტის ჯამური ინვესტიცია (ღირებულება) | 22 000 000 USD |

პროექტის საპროგნოზო მოგება-ზარალის წინადადება (Income statement)

| INCOME STATEMENT | |
|---|------------------|
| Instaled capacity (KwP) | 20000 |
| Working Hours of Wind (annually) | 3815 |
| Generated Electricity (Annually) (Kwh) | 76300000.0 |
| Instalation price in (USD) (total Investment) | \$ 23,000,000.00 |
| Price of Electricity (Kwh) | \$ 0.060 |
| Generated Electircity Price in USD | \$ 4,578,000.000 |
| Maintanance and managment | \$ 184,000.00 |
| EBITDA | \$ 4,394,000.00 |
| Depreciation / amortization | \$ 69,000.00 |
| EBIT | \$ 4,325,000.00 |
| Net Profit (after tax - before loan interest) | \$ 3,676,250.00 |

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

| ერთობლივი შემოსავალი (რეალიზაციიდან) | 140 000 USD |
|---|---------------------------------|
| ერთობლივი შემოსავალი (რეალიზაციიდან) | 4 578 000 USD |
| საოპერაციო ხარჯი | 184 000 USD |
| უკუგების პერიოდი | 15 წელი (ნეგატიური სტრეს ტესტი) |
| IRR | 18.46 % |
| სესხის მოცულობა | 11 000 000 USD |
| საკუთარი ინვესტიცია | 11 000 000 USD |
| წლიური მოგება (დაბეგვრამდე) | 4 394 000 USD |
| წმინდა მოგება | 4 325 000USD |
| გასანაწილებელი მოგება | 3 676 250USD |

პროექტის საპროგნოზო ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი (15 წელზე)

| # | YEARS | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|--|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| 1 | Net Book value of the Asset | 23,000,000 | 22,770,000 | 22,701,690 | 22,656,287 | 22,610,974 | 22,565,752 | 22,520,621 | 22,475,579 | 22,430,628 | 22,385,767 | 22,340,995 |
| 2 | Initial Investment | -23000000 | | | | | | | | | | |
| 3 | Wind Module Deterioration coefficient | | 0.3% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% |
| 4 | Electricity Price annual increase | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 5 | Revenues (USD) | | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 |
| 6 | managment and Maintenance cost (USD) | | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 |
| 8 | Profit (USD) | | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 |
| # | Debt (50% of investment in 11%)(USD) | | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 |
| # | Net Profit (including debt) | | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 |

| # | YEARS | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|--|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| 1 | Net Book value of the Asset | 22,296,313 | 22,251,721 | 22,207,217 | 22,162,803 | 22,118,477 | 22,074,240 | 22,030,092 | 21,986,032 | 21,942,060 | 21,898,176 |
| 2 | Initial Investment | | | | | | | | | | |
| 3 | Wind Module Deterioration coefficient | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.2% |
| 4 | Electricity Price annual increase | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 5 | Revenues (USD) | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 | 4578000 |
| 6 | managment and Maintenance cost (USD) | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 | -184000 |
| 8 | Profit (USD) | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 |
| # | Debt (50% of investment in 11%)(USD) | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | -1500000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| # | Net Profit (including debt) | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 2894000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 | 4394000 |

საინვესტიციო პროექტის განხორციელების საორიენტაციო სამოქმედო გეგმა

| პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა | | თვე | | | | | | | | | | | | | | |
|--|---|------------|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|
| # | აქტივობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 1 | სახელმწიფო ორგანოებისგან ნებართვებისა და შეთანხმებების მიღება | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის განმახორციელებელი კონტრაქტორების შერჩევის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | გამარჯვებული კონტრაქტორის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის სამუშაოების წინამოსამზადებელი აქტივობების განხორციელება (მათ შორის დროებითი განთავსების პუნქტების/ საწყობების მოწყობა) | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღება (მათ შორის ტესტირება და ჩაბარება) | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | ქარის ელექტროსადგურის ოპერატორების შერჩევა/ მომზადება/გადამზადება | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | ქარის ელექტროსადგურის საკაპიტალიზაციო პროცესის დანწყება | | | | | | | | | | | | | | | |

ცხრილებისა და გრაფიკების სარჩევი

| | |
|---|----|
| ფიგურა 1 – ქარის ელექტროსადგურის მოწყობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი (ახლო ხედი) | 27 |
| ფიგურა 2 – ქარის ელექტროსადგურის მოწყობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი (ფართო ხედი) | 27 |
| ფიგურა 3 – საინვესტიციო სივრცის დაშორება თბილისთან | 30 |
| ფიგურა 4 – საინვესტიციო სივრცის დაშორება ქუთაისთან | 30 |
| ფიგურა 5 – საინვესტიციო სივრცის დაშორება ფოთის პორტთან | 31 |
| ცხრილი 1 – საქართველოს ძირითადი მაჩვენებლები და ინდექსები | 15 |
| ცხრილი 2 – ქარის სიჩქარე ხონის მუნიციპალიტეტში და მასთან კორელაციაში მყოფ მუნიციპალიტეტებში თვეების ჭრილში | 25 |
| ცხრილი 3 – ხონის მუნიციპალიტეტის ქარის რეჟიმების შედარება გორის მუნიციპალიტეტის ქარის რეჟიმებთან და მათ მიერ ენერჯის გამომუშავების პოტენციური თვეების ჭრილში | 25 |
| ცხრილი 4 – ელექტროენერჯის და თბოენერჯის მიწოდება და მოხმარება, 2022 | 37 |



ევროკავშირი საქართველოსთვის

This publication was created with the financial support of the European Union under the project "Integrated Territorial Development of Khoni Municipality of Imereti Region" by the expert. Its contents are the sole responsibility of the expert and project implementers - Khoni Municipality City Hall and Charity Humanitarian Centre "Abkhazeti" and do not necessarily reflect the views of the European Union.

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის "იმერეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება". მასში არსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ექსპერტი და პროექტის განმახორციელებლები - ხონის მუნიციპალიტეტის მერია და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი" და შესაძლოა ის არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.